ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 244

"22" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, კეხვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ელო ანდრონიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის „პ"ქვეპუნქტის და "ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის N6–27 გადაწყვეტილებისა და "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N 6–17 გადაწყვეტილების პირველი პუნტის "ბ" ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი N2–ის შესაბამისად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, ე.წ. ხეხილსანერგე მეურნეობაში, კეხვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს საქართველოს დამსახურებული არტისტის, მსახიობ ელო ანდრონიკაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X_485778.6212
Y_ 4620560.7153
X_485834.6157
Y_ 4620522.0282
X_485837.6699
Y_ 4620603.9837
X_485982.492
Y_ 4620695.3565